

სასამართლოს მეგობარი (amicus curiae)

ზვიად ამირანაშვილი / Zviad Amiranashvili

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოში ახლად ამოქმედებულ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს, რომლის მთავარი დანიშნულებაა საზოგადოების ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

ნაშრომში საუბარია გარკვეულ შედარებით ანალიზზე საქართველოსა და ამერიკის კანონმდებლობას შორის სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტთან მიმართებაში, ასევე ამ ინსტიტუტის წარმოშობაზე. ძირითადად კი საუბარია საქართველოს კანონმდებლობასა და amicus curiae-ს ინსტიტუტზე.

ნაშრომი, ასევე, მოიცავს პრაქტიკოს იურისტთა შეხედულებას აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით და იმაზე, თუ რომელ კანონმდებლობაში შეიძლება ამ ინსტიტუტის დანერგვა. საუბარია აგრეთვე მარეგულირებელ ნორმათა უკმარისობაზე სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირებისათვის და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ნაშრომი მოიცავს ავტორისეულ ხედვას ამ ინსტიტუტის დანერგვასთან დაკავშირებით, საუბარია იმ გზებზე, თუ როგორ უნდა გახდეს ის აქტუალური და რა არის ამისთვის საჭირო.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ლექტორებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

Zviad amiranashvili

A friend of the court (Amicus curiae)

Research director: G. Dzebniauri

The present work is devoted to Georgia's newly activated institution remains a friend of the court, whose main purpose is the administration of justice in the process of community involvement.

This work discusses the comparative analysis of the laws of Georgia and the U.S. with respect to the Friend of the Court institution. Also about the origin of this institution in Georgia. Mostly it's about the law of Georgia and the Institute's amicus curiae-on.

The work also includes the opinion of practicing lawyers with regard to this Institute and what legislation can be introduced in this institution and in which legislation can to introduction of this institute.

Also speaking at the lack of regulatory norms for the smooth functioning of this institution and what is equally important the paper includes the author's vision of this institution in connection with the introduction, there is talk about the ways on how to become a Friend of the Court's actual and what is required.

The work is intended for a wide circle of readers, for the Faculty of Law students, for professors, practicing lawyers and other interested readers

ზვიად ამირანაშვილი

სასამართლოს მეგობარი (Amicus curiae)

შესავალი

ნაშრომის თემა:

სასამართლოს მეგობარი (*Amicus Curiae*)

პრობლემის არსი:

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის სამართლებრივად რეგულირებული ნორმების არასრული და თანამედროვე მოთხოვნების არადაამკმაყოფილებელი დონე.

სამეცნიერო სიახლე:

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის აქტუალობისათვის საზოგადოებაში შესაბამისი გზებისა და მეთოდების დანერგვა.

თემის აქტუალობა:

ნებისმიერი ჩვენგანი შესაძლოა გახდეს სასამართლოს მეგობარი, შესაბამისად, აუცილებელია ჩვენი, როგორც სასამართლოს მეგობრის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა.

თემის მიზანი:

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შესწავლა, პრობლემატური საკითხების განსაზღვრა და გარკვეულწილად შედარებითი ანალიზი სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში.

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) არსი და წარმოშობა

“Amicus curiae” – სასამართლოს მეგობარი: საქართველოს სამართლებრივი სისტემა ასეთ ინსტიტუტს დღემდე არ იცნობდა, თუმცა მას არც აქვს დიდი ხნის ისტორია. იგი მხოლოდ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისდიქციაში, მოგვიანებით მან ასახვა ჰპოვა კანონმდებლობაშიც და დღეს მის შესახებ სპეციალური ნორმებიც არსებობს¹.

„დღეისათვის ეს ინსტიტუტი ამერიკაში წარმატებით მუშაობს. ცნობილია რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერესთა ჯგუფები დიდი ოდენობით გზავნიან თავიანთ მოსაზრებებს სასამართლოში სხვადასხვა კონკრეტული დავების განხილვისას, რომელთა გადარჩევაც შემდგომ ხდება და სასამართლო მხოლოდ გამორჩეულად მყარ არგუმენტებს იყენებს. მოგვიანებით ეს ინსტიტუტი გერმანულ-რომაული სამართლის ქვეყნებში ამუშავდა და დღეისათვის მოქმედებს ფაქტობრივად მთელ ევროპაში ინგლისის გარდა. ამ ინსტიტუტს წარმატებით იყენებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოც“².

აღსანიშნავია რომ: „აშშ-სა და ევროპაში ამ ინსტიტუტის გაჩენა საზოგადოებრივმა ინტერესმა გამოიწვია: სასამართლოში, ჩვეულებრივ არიან მხარეები, რომლებსაც

განსახილველ საქმეში კონკრეტული ინტერესი აქვთ და არის სასამართლო, რომელმაც მტყუან-მართალი უნდა გაარჩიოს და საბოლოო მსჯავრი გამოიტანოს. თუმცა, ზოგჯერ გვხვდება ისეთი საქმეებიც, სადაც გარდა კონკრეტული მხარის კონკრეტული ინტერესისა არსებობს დიდი საზოგადოებრივი ინტერესიც: ეს არის საქმეები, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით ყალიბდება პრაქტიკა, რომელიც შეეხება მრავალი ადამიანის, ინტერესთა ჯგუფის მთელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს... და სწორედ ასეთ დროს ძალიან ხშირად, საქმეში ერთვება „სასამართლოს მეგობარი“, პირი, რომელსაც მოცემულ საქმეში არა აქვს კონკრეტული ინტერესი, მაგრამ რომელმაც კარგად იცის რა შედეგს მოუტანს კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მთელ საზოგადოებას³.

¹ ინსტიტუტი, თ. (2004). *სასამართლოს მეგობარი*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი. გვ:7

² (n.d.). From <http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2009-11-18/1462.html>

საქართველოს კანონმდებლობა და „Amicus Curiae“-ს ინსტიტუტი

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ეს ინსტიტუტი ახალია, თუმცა არის საკმარისი საშუალება, განვსაზღვროთ, ამ ეტაპისთვის თუ რომელ სამართალწარმოებაში შეიძლება იყოს გამოყენებული სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი.

თუმცა, ვიდრე იმას განვსაზღვრავდეთ, რომელ კანონმდებლობაში შეიძლება ამ ინსტიტუტის დანერგვა, მანამდე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რას ნიშნავს amicus curiae, იგივე სასამართლოს მეგობარი. ეს ნიშნავს იმას, რომ „პირთა ჯგუფს, რომლის ინტერესის სფეროში შედის დავა, რომელსაც სასამართლო განიხილავს, მაგრამ ის არ არის რომელიმე მხარე, შეუძლია თავისი არგუმენტები სასამართლოს წარუდგინოს და უშუალოდ ჩაერთოს პროცესში. მაგალითად: თუ განიხილება გარემოს დაცვის საკითხთან დაკავშირებით დავა, ამ თემაზე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ

წარმოადგინონ თავისი ანალიზი ერთი, ან მეორე მხარის სასარგებლოდ. სიტყვის თავისუფლების თაობაზე დავისას ჟურნალისტებმა წარმოადგინონ არგუმენტები, თუ განიხილება დავა სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით – ადვოკატებმა და სხვა. ასევე, კერძო პირებს ამათუიმ დარგის სპეციალისტებს, მეცნიერებს, იურისტებს, არსამთავრობოებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, ადვოკატებს, ინტერესთა ჯგუფებს, პარლამენტარებს, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს და ა.შ. ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის მოსაზრებამაც შეიძლება გადაწყვეტი როლი შეასრულოს ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანაში. თუნდაც მაგალითისათვის საკითხები, რომელიც ეხება შრომით დავებს, შესაძლებელია ამაზე პროფკავშირების წარმომადგენლებმა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები. ასევე შესაძლებელია რომ არასრულწლოვანებთან დაკავშირებით მშობლის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, მშობლებმა, პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა წარმოადგინონ არგუმენტები და სხვა“⁴.

ახლა კი საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა მოქმედი კანონმდებლობით *amicus curiae*-ს ჩართვა სასამართლოებში მიმდინარე სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის ან კონსტიტუციურ-სამართლებრივ საქმეებზე?! რიგ შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობა მეტად მოუქნელი და ზედმეტად ფორმალიზებულია, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის დამოუკიდებელი მესამე მხარის ჩართვას პროცესში. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ცხადყოფს ამ სამართლებრივ ბარიერებს.

სამოქალაქო კანონმდებლობაში:

„მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით *amicus curiae* შეუძლებელია საქმეში ჩაერთოს მესამე პირის სახით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს ორი სახის მესამე პირებს: ა) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნებით, ბ) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. *Amicus curiae*-ს სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მას არა აქვს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, რადგან იგი სასამართლო პროცესში უბრალოდ მხარს უჭერს ერთ ან მეორე მხარეს, იგი არ ითხოვს რაიმეს მიკუთვნებას. მხარდაჭერა კი გამოიხატება იმით, რომ სასამართლოს მეგობარი, სასამართლოს წარუდგენს საკუთარ წერილობით მოსაზრებას, რომელსაც მტკიცებულების ძალა აქვს. მის ჩართვასთან დაკავშირებით ნებისმიერი საპროცესო მოქმედება მოცემული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კერძოდ, უნდა იყოს განსაზღვრული შემდეგი მოქმედებები: წესი, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ სასამართლოს მეგობრის მიერ წერილობითი მოსაზრების დასაშვებობა, მხარეებისათვის წერილობითი მოსაზრებების გადაგზავნის და მასზე პასუხის წარდგენის წესი და მრავალი სხვა. ამდენად, დღეს მოქმედი კანონმდებლობით სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებში სასამართლოს მეგობრის, როგორც დაინტერესებული (მესამე) მხარის მონაწილეობა გამორიცხებულია“⁵.

³ ინსტიტუტი, თ. (2004). *სასამართლოს მეგობარი*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი. გვ:5

⁴ აბესაძე, მ. (2009). "სასამართლოს მეგობარი" საკონსტიტუციო სასამართლოში. *რეზონანსი*, 9.

მრავალი სხვა. ამდენად, დღეს მოქმედი კანონმდებლობით სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებში სასამართლოს მეგობრის, როგორც დაინტერესებული (მესამე) მხარის მონაწილეობა გამორიცხულია⁵.

ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში:

“რაც შეეხება ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობას, მესამე პირებთან დაკავშირებით იგი გაცილებით მკაცრია, კოდექსის 16-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია პირს, რომლის ინტერესსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, აცნობოს ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი კი ჩვეულებრივ მესამე პირებისგან ყველაზე არსებითად იმით განსხვავდება, რომ სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება მის ინტერესს შეიძლება უშუალოდ არ შეეხოს, არამედ იგი მონაწილეობს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ პროცესმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ზოგადად საზოგადოებაზე, ან შეცვალოს ამ საკითხის მიმართ ჩამოყალიბებული სასამართლო იურისპრუდენცია. ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში პრაქტიკულად გამორიცხულია amisi -ს მონაწილეობა, რადგან კანონმდებლობით დადგენილია, რომ მესამე პირების ინტერესს უშუალოდ უნდა ეხებოდეს სასამართლოს განსახილველი საკითხი”⁶.

„კანონმდებელმა სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი დაუშვა, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ბერკეტი საკუთარი აზრის გამოსახატავად. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მისი ჩართვა სისხლის სამართლის წარმოებასთან ერთად უპრიანი იქნებოდა, რადგან ადმინისტრაციული სამართალწარმოება მოწოდებულია საჯარო ინტერესების დასაცავად და აქ საზოგადოების წარმომადგენლებს საკუთარი შეხედულებების თუ ნების გამოხატვისათვის ფართო ასპარეზი ექნებათ. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის

გადატანამ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში შესაძლოა გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა საერთო საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე საკითხების განხილვაში, რაც საჯარო დაწესებულებებისა და საზოგადოების რიგითი წევრების თანამშრომლობას გააღრმავებს და სხვა ეტაპზე გადაიყვანს⁷.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში:

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცოტა ხნის წინ ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ამოქმედდა. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მკვიდრდება დასავლეთის ქვეყნების სასამართლოებში მიღებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ყველა დაინტერესებული პირს შეუძლია კონკრეტული დავის განხილვისას, თავისი მოსაზრებით მიმართოს სასამართლოს, ანუ მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში. „ამ ინსტიტუტის საქართველოში ამოქმედება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში პირველი პრეცედენტია. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოღება ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სრულყოფას და საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას პროცესში“⁸.

როგორც მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს სათანადო სარჩელის, თუ წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის საფუძველზე, სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი ინიციატივით დაიწყოს ამა თუ იმ საქმის განხილვა. ამიტომ საჭიროა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ დაინტერესებულმა პირებმა. უმეტეს შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში და ითხოვენ, რომ კონკრეტულ სახელმწიფო ხელისუფლების ნორმატიული აქტი იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობა უშუალოდ საქმეში მონაწილე პირებს ეხებათ, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებებში გამოცემულ მოსაზრებებს ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საზოგადოებისათვის. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სწორედ სასამართლოს მეგობარს, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მუხლით (მუხლი. 14¹), სადაც წერია, რომ:

1. ნებისმიერ ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დამტკიცებული ფორმით

მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით თავისი წერილობითი მოსაზრებით.

1. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ვალდებული მხედველობაში მიიღოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წერილობითი მოსაზრება.
1. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს, გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება, რომელიც შესაძლებელია აისახოს ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.
1. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებას საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მას უფლება აქვს გამოიძახოს იგი სასამართლო სხდომაზე დამატებითი შეკითხვების დასმის მიზნით⁹.

ექსპერტთა განცხადებით: „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის ამოქმედებას ორი დადებითი მხარე აქვს: დადებითად იმოქმედებს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა და მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში. ამით კი საზოგადოებასა და სასამართლოს შორის კავშირი მყარდება, ეს ინსტიტუტი ერთგვარად არის საზოგადოების მონაწილეობა სასამართლო პროცესში“¹⁰.

სისხლის სამართალში რაც შეეხება სისხლის სამართალს, აქ შედარებით ნორმალურად გვაქვს საქმე და შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის ამოქმედებისათვის გვაქვს არასაკმარისი, მაგრამ გარკვეული მარეგულირებელი ნორმა, ეს ეხება სსსკ-ის 55-ე მუხლს.

როგორც მოგეხსენებათ კანონმდებლობაში ეს საკითხი (სასამართლოს მეგობარი) ჯერ კიდევ 2010 წელს იქნა მიღებული, რომელსაც სსსკ-ს მხოლოდ ერთი მუხლი, 55-ე მუხლი აქვს დათმობილი, სადაც საუბარია, რომ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით¹¹.

სსსკ-ის 55-ე მუხლის 2-ე პრიმა მუხლის თანახმად, წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის

შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს. წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილ უნდა იქნეს 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები.

⁵ ინსტიტუტი, თ. (2004). *სასამართლოს მეგობარი*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.გვ:32. ⁶ ინსტიტუტი, თ. (2004). *სასამართლოს მეგობარი*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.გვ:32–33

⁷ მეშველიშვილი, ა. (2012 წლის 25 იანვარი). (ზ. ამირანაშვილი, Interviewer)

8

(n.d.). From <http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2009-11-18/1462.html>

9 *კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ*. (2009). თბილისი.

10 აბესაძე, მ. (2010). Amicus curiae-სასამართლოს მეგობარი. *ვერსია*, 1,3.

11 *სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*. (2011). თბილისი: გამომცემლობა რაიზი.გვ:35

გამომდინარე იქიდან, რომ ეს ინსტიტუტი ამერიკიდან არის გადმოღებული, შესაბამისად ხდება სწორედ ამერიკის სამართლებრივ სისტემასთან ერთგვარი შედარება, და ამ შემთხვევაშიც მინდა მოგახსენოთ, რომ: „ამერიკაში, სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება შეიძლება სასამართლოს წარედგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ორივე მხარის წინასწარი თანხმობა ამის თაობაზე ან სასამართლოს ნებართვით, შაუამდგომლობის საფუძველზე. ამ საკითხთან (პროცედურები) დაკავშირებით ჩვენთან არაა განსაზღვრული, თუმცა იმედია, რომ ამის თაობაზე კანონმდებლები შეიტანენ დამატებებს კანონში. სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებაში უნდა იყოს მითითებული თუ რომელ მხარეს უჭერს მხარს და უნდა ახლდეს მინიშნება ამის თაობაზე, ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას თუ მოითხოვს მის შეცვლას. ჩვენთან კი, როგორც ნახეთ, სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება არ უნდა იყოს მხარდაჭერა რომელიმე მხარის. ამერიკაში, მას შემდეგ, რაც სასამართლო Amicus curiae-ს ჩართავს საქმეში მას ეწოდება amici. Amici-ს წერილობითი მოსაზრება ხშირად სასამართლოს წარედგინება ორგანიზებული ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებსაც აქვთ ინტერესი საქმის შედეგის მიმართ. ინტერესჯგუფების მაგალითად, რომლებიც ხშირად წარადგენენ ხოლმე amicus წერილობითი მოსაზრებას შეიძლება დავასახელოთ

სამოქალაქო თავისუფლების ამერიკული კავშირი (ACLU) და კოლორადოს მოსახლეობის განვითარების ნაციონალური ასოციაცია (NAACP). amici-ს წერილობითი მოსაზრება სასამართლოს ყურადღებას ხშირად მიაპყრობს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მხარეებმა არც კი აღნიშნეს და ამით იგი სასამართლოს შეუფასებელ დახმარებას უწევს“¹².

სსსკ-ს 55-ე მუხლის მე-5 პრიმა მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად. ამრიგად ვხედავთ, რომ სასამართლოს მეგობრის ვინაობა ცნობილი ხდება მხარეებისთვის. შესაბამისად მხარეებს შეუძლია მოისმინონ სასამართლოს მეგობრის არგუმენტები, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. თავის მხრივ, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, გარდა „amicus curiae“-ს არგუმენტებისა, ვფიქრობ, მას ექნება სხვა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებებიც. ამდენად არ მგონია, რომ მხოლოდ სასამართლოს მეგობრის არგუმენტის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას. თუმცა მიმაჩნია, რომ ამას უკვე პრაქტიკა განსაზღვრავს და სწორედ ამიტომაც საჭირო, რომ დაინერგოს პრაქტიკა, ბევრი ადამიანი გახდეს სასამართლოს მეგობარი და ეს ინსტიტუტიც შეძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას. საზოგადოებას ვერ ჩართავ მართლმსაჯულების განხორციელებაში თუ არ იქნება სურვილი, ამიტომ საჭიროა იყოს მეტი სურვილი და მონდომება რომ ამ ინსტიტუტმა წარმატებით იმუშაოს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საპროცესო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული თუ რა კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით შეიძლება სასამართლოს მეგობრის პოზიციის წარდგენა, არ არის აღნიშნული არც ის შეზღუდვები, რომელიც შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ პირს, როცა მას სურვილი აქვს, როგორც სასამართლოს მეგობარმა, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება. თუმცა ვფიქრობ, რომ ამას პრაქტიკა განსაზღვრავს ან თავად კანონმდებლები, ყველაზე მთავარი კი ალბათ არის ის, რომ საჭიროა გახდეს აუცილებლობა იმ ნორმების შემოღებისა, რომელსაც სწორედ პრაქტიკა საჭიროებს.

„როგორც პარლამენტში განმარტეს, რწმუნებით აღჭურვილი პირი, სახლხო დამცველის მსგავსად, შეუძლია მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ახსნა-განმარტება სახელმწიფო დაწესებულებებში და თანამდებობის პირებისაგან დაუყოვნებლივ, ზეპირი მოთხოვნისთანავე, წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში კი - 10 დღის ვადაში. ამ მხრივ დაბრკოლების შექმნა კანონით ისჯება. „Amicus curiae“-ს უფლება ექნება შესაბამისი ნების არსებობის ცალკეულ შემთხვევაში გამოვიდეს სასამართლოს წინაშე და კონკრეტულ საქმეზე რჩევები ან ექსპერტული მოსაზრებები გამოთქვას“¹³.

12 ინსტიტუტი, თ. (2004). *სასამართლოს მეგობარი*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი. გვ: 12–14

13 მსხილაძე, ნ. (2010). ნოვაცია სახალხო დამცველის უფლებებში. *24 საათი*, A2.

ამ ინსტიტუტთან შეხებისას ჩნდება ერთი მარტივი კითხვა: რატომ შეიძლება პირი ჩაერთოს პროცესში, როგორც სასამართლოს მეგობარი, რა ინტერესი აქვს მას, რას მოუტანს მისი ჩართულობა თავად მას ან სხვა პირს?! რატომ შეიძლება გაიღოს გარკვეული რისკები თუ ხარჯები რაც დაკავშირებულია მის მონაწილეობასთან პროცესში?! ამაზე, მსგავსად ამერიკული სამართლებრივი სისტემისა, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მეგობართან, შეიძლება ითქვას, რომ: „სასამართლოს მეგობრებს არ ევალებათ შეასრულონ ის მოქმედება, რაც მხარეებმა უნდა შეასრულონ. სასამართლოს მეგობრებს შეუძლია აირჩიონ საქმეები, რომლებშიც სურთ მონაწილეობა, მხარეებს კი არა აქვთ, სასამართლოს მეგობრებს საქმის შედეგებთან დაკავშირებით შეიძლება არ დასჭირდეთ ისეთი რისკის გაწევა, როგორსაც მხარე გასწევს, მიზეზები კი რის გამოც სასამართლოს მეგობარი იწყებს სასამართლოში თავისი ინტერესის წარმოჩენას შეიძლება იყოს საკმაოდ ამაღელვებელი და ღირსეული და სასამართლოს ერთმა გადაწყვეტილებამ უარყოფითად არ იმოქმედოს მათზე. მაგ: საქმე საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია და სხვა. თავისმხრივ სასამართლოს მეგობრის მიერ საქმეში მინაწილეობისას მიღებული ხარჯები ბევრად ჩამოუვარდება იმ ხარჯებს, რომლებიც საქმეში უშუალოდ ჩართვას უკავშირდება და ამ ხარჯებს უშუალოდ გაიღებს სასამართლოს მეგობარი, ის ხომ თავისი ნებით ერთვება პროცესში¹⁴.

„ამ ნორმამ ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლში. სისხლის სამართლის პროცესში, საკონსტიტუციო სამართლის პროცესისგან განსხვავებით, არ არის იმ კატეგორიის საქმეთა განხილვა, რაც შეიძლება საზოგადოების ფართო მასების ინტერესს წარმოადგენდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობ ეს ინსტიტუტი კარგად იქნება ათვისებული ამ კონკრეტულ დარგშიც (ადმინისტრაციული საქმისწარმოებისაგან განსხვავებით). მოგეხსენებათ, მოქმედი საპროცესო კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებული აღარ წარმოადგენს მხარეს და მას აღარ შეუძლია პროცესში მონაწილეობის მიღება, შესაბამისად იგი ვერ აფიქსირებს თავის პოზიციის სასამართლო განხილვისას, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, ეს ნორმა ფართოდ იქნება გამოყენებული ამ კუთხით. დაზარალებული არ არის მხარე, იგი დაინტერესებულია საქმის საბოლოო შედეგით, ასე რომ დაკმაყოფილებულია ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებული მოთხოვნები. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სასამართლოს მეგობარი ესეთი

ვიწრო გაგებით არ ჩადებულა კანონმდებლობაში, ეს ნორმა პირველ რიგში მიმართულია საზოგადოების ჩართულობაზე სასამართლო პროცესებში, რაც ქვეყანაში დემოკრატიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია“¹⁵.

მართალია ჩვენ თეორიულად გვაქვს კანონმდებლობაში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შესახებ ნორმა, ჩემი ნაშრომიც სწორედ მისი არსის გაგების მიზანს ემსახურებოდა, თუმცა არ გვაქვს პრაქტიკა, ჩვენ დღემდე არ გვაქვს არცერთი მაგალითი იმისა, რომ იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი მონაწილეობას იღებდა პროცესში, როგორც სასამართლოს მეგობარი, დღემდე ეს ინსტიტუტი ერთხელაც კი არ ამოქმედებულა საქართველოში. თუმცა დამეთანხმებით და საინტერესო იქნებოდა გაგება, იმისა თუ როგორია ამ ინსტიტუტის მოქმედება ქართულ სამართალწარმოებაში. თუნდაც რა საკითხზე გამოვიდოდა „amicus curiae“ თავისი მოსაზრებით, ან საერთოდაც გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ „amicus“-ის მოსაზრება. შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ შემიძლია ვისაუბრო თუ როგორ ხორციელდება ყველა იმ ტექნიკური თუ სხვა საკითხის რეგულირება, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტთან და მის ჩართულობასთან პროცესში.

¹⁴ ინსტიტუტი, თ. (2004). *სასამართლოს მეგობარი*. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი. გვ:21 ¹⁵ ჯანუაშვილი, ს. (2012 წლის 20 იანვარი). (ზ. ამირანაშვილი, Interviewer)

დასკვნა

მსგავსად ყველა იმ ახალი ინსტიტუტისა, რომელიც გარკვეული ცვლილებების შედეგად შედის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობაში, საქართველოში შემოსულ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტთან დაკავშირებითაც ვხვდებით რიგ პრობლემატურ საკითხებს, ისეთებს, როგორცაა ამ ინსტიტუტის მარეგულირებელ ნორმად მხოლოდ სსსკ-ს ერთი მუხლის (მუხლი. 55-ს) არსებობა, რაც ფაქტობრივად არასაკმარისია ამ ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირებისათვის, არაა განსაზღვრული პროცედურები სასამართლოს მეგობრის საქმეში მონაწილეობისას, არც რაიმე უფლება-მოვალეობებზეა საუბარი აღნიშნულ მუხლში, რომელიც არეგულირებს ამ ინსტიტუტს და სხვა. ამიტომ საჭიროა საზოგადოების ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ყველა ადამიანი შეიძლება გახდეს სასამართლოს მეგობარი, რომ ყველა ადამიანი შეიძლება ჩაერთოს და შეიტანოს დიდი წვლილი მართლმსაჯულების განხორციელებაში, ამას კი სჭირდება ერთგვარი განვითარება, მისი აქტუალობა, როგორც შეიძლება იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით საზოგადოების ინფორმირება, ასევე საჯარო შეხვედრები საზოგადოებასთან, მათ შორის იურისტებთან, სტუდენტებთან, მეცნიერებთან და სხვა, რომელთა

მეშვეობითაც შემდგომ შესაძლებელია, რომ უფრო ფართო ნორმატიული აქტების მიღების აუცილებლობის საკითხი დადგეს და ამ მხრივ კანონმდებელთა მხრიდან მივიღოთ ამ ინსტიტუტის გამართულად მუშაობის მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ ამით ერთგვარი საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება მართლმსაჯულების განხორციელებაში, ჩვენ გვაქვს ასევე ახალი ინსტიტუტი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც საკმაოდ ეფექტურად ამოქმედდა და უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს საკმარისი მარეგულირებელი ნორმებიც ამისთვის, ამიტომ საჭიროა, რომ მგავსად ამ ინსტიტუტისა მოხდეს მუშაობა სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტთან მიმართებაში, რომ თავიდან იქნეს სამომავლოდ აცილებული ის პრობლემები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სამართლებრივი (შესაბამისი ნორმის არარსებობის), ისე პრაქტიკული კუთხით.

ნათელია, რომ „Amicus curiae“-ს ინსტიტუტი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, მისი დანერგვა უფრო გამჭირვალეს გახდის საქართველოს სასამართლოების მუშაობას და გაზრდის სასამართლოს სისტემაში საზოგადოების მონაწილეობას. „amicus curiae“-ს პრაქტიკის დანერგვამ შეიძლება ძალიან სერიოზული როლი შეასრულოს მართლმსაჯულების სრულყოფაში, გადაწყვეტილილებების ხარისხის ამაღლებასა და სასამართლოში საზოგადოების მონაწილეობის ერთ-ერთ პირველ პრეცედენტად იქცეს. მოგეხსენებათ ჩვენს კანონმდებლობაში არსებობს მთელი რიგი ნორმები, რომელიც დაკავშირებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან და რომელიც ნორმებიც საკმარისია იმისათვის, რომ ამ ინსტიტუტმა იმუშაოს გამართულად, რისი პრაქტიკაც გვაქვს, გასხვავებით სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტისა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დიდი შინაარსისა და მოლოდინისა, კანონმდებლობაში არ არის სრულად განსაზღვრული და გაწერილი სასამართლოს მეგობრის მოქმედების სფერო და არეალი, იგი ძალზედ დასახვეწია. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ინსტიტუტი გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას სასამართლო პროცესში, ძალზედ მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება ასეთი ნორმის არსებობასთან დაკავშირებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი ნორმა საკმაოდ დასახვეწი და მოსარგებია ქართულ კანონმდებლობასთან, ვფიქრობ, პრაქტიკა დაარეგულირებს და დახვეწს მისი გამოყენების ფორმასა და წესს.

ბოლოს კი მინდა მოგიწოდოთ ყველას, როგორც იურისტებს, ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლებსა თუ რიგით მოქალაქეებს, ჩაერთეთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც სასამართლოს მეგობრები, დანერგეთ პრაქტიკა და გახდით საწინდარი ამ ინსტიტუტის წარმატებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (n.d.). From <http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2009-11-18/1462.html>;
2. <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-07-31/8835.html>. (n.d.);
3. აბესაძე, მ. (2009). "სასამართლოს მეგობარი" საკონსტიტუციო სასამართლოში. რეზონანსი , 9;
4. აბესაძე, მ. (2010). Amicus curiae-სასამართლოს მეგობარი. ვერსია , 1,3;
5. ინსტიტუტი, თ. (2004). სასამართლოს მეგობარი. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი;
6. კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ. (2009). თბილისი;
7. მეშველიშვილი, ა. (2012 წლის 25 იანვარი). (ზ. ამირანაშვილი, Interviewer);
8. მსხილაძე, ნ. (2010). ნოვაცია სახალხო დამცველის უფლებებში. 24 საათი , A2;
9. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (2011). თბილისი: გამომცემლობა რაიზი;
10. ჯანუაშვილი, ს. (2012 წლის 20 იანვარი). (ზ. ამირანაშვილი, Interviewer).